შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2026 წლის „_04___„ __მარტი____№11 დადგენილება

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა რეიტინგის

(GPA-ს) დაანგარიშების წესი

ზუგდიდი

2026

1. **ტერმინთა განმარტება**

   GPA (Grade Point Average) - საშუალო შეწონილი კუმულატიური (დაგროვილი) შეფასება/ქულა

   GP — Grade Point-სასწავლო კურსის კონვერტირებული ქულა შეფასების 4-ბალიან სკალაზე

   სემესტრული GPA - სემესტრის განმავლობაში დაგროვილი საშუალო შეწონილი შეფასება

2. **GPA (Grade Point Average-საშუალო შეწონილი შეფასება/ქულა)** არის სტუდენტის რეიტინგის/აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი. GPA არ არის ნიშნების საშუალო არითმეტიკული. ის არის საშუალო შეწონილი შეფასება, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო კურსის/საგნის "წონას" განსაზღვრავს მისი კრედიტები (ECTS).
3. უნივერსიტეტის სტუდენტთა რეიტინგი/შეფასების საშუალო მაჩვენებელი - **GPA** გაიანგარიშება ყოველსემესტრულად.
4. **GPA**-ს დაანგარიშებას ახდენს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული.
5. GP (Grade Point) წარმოადგენს ერთი კურსის ფარგლებში მიღებული შეფასების კონვერტირებულ ქულას 4-ბალიან სკალაზე და მისი მინიჭება **ცალკეული ინდივიდუალური სასწავლო კურსისთვის** ხდება წარმოდგენილი პრინციპით ქვემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე:

შეფასება	**Description**	**კურსის ქულობრივი მაჩვენებელი**	**(კურსის კონვერტირებული ქულა) GP**
A	Excellent (ფრიადი)	91-100	4.0
B	Very Good (ძალიან კარგი)	81-90	3.0
C	Good (კარგი)	71-80	2.0
D	Average (დამაკმაყოფილებელი)	61-60	1.0
E	Satisfactory (საკმარისი)	51-60	0.5
FX	Unsatisfactory (არადამაკმაყოფილებელი)	0-50	0
F	Totally Unsatisfactory (ჩაიჭრა)		

მაგალითად, თუ სტუდენტმა მიიღო საგანში 85 ქულა, მისი GP ამ საგანში არის 3.0

1. **GPA (Grade Point Average)** დაანგარიშება ხდება სასწავლო ბარათში (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ini.ge) მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესის გათვალისწინებით:

ა) სტუდენტის მიერ თითოეულ ინდივიდუალურ სასწავლო კურსში მიღებული კონვერტირებული ქულა (GP) მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე;

ბ) ამგვარად მიღებული ნამრავლთა ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე;

გ) მიღებული სიდიდე წარმოადგენს სტუდენტის შეფასების საშუალო შეწონილ ქულას ანუ კუმულატიურ GPA-ს.

მაგ. თუ სტუდენტს გავლილი აქვს 6 სასწავლო კურსი კრედიტების სხვადასხვა მოცულობით და მიღებული აქვს შემდეგი შეფასებები: 83, 83, 80, 72, 82, 71:

ნაბიჯი პირველი: ვადგენთ თითოეული სასწავლო კურსის ქულობრივი მაჩვენებლის შესაბამისობას GP-სთან ამ წესის მე-5 პუნქტში მითითებული ცხრილის მიხედვით. მივიღებთ შემდეგ მონაცემებს:

შეფასება	Description	ECTS	კურსის ქულობრივი მაჩვენებელი	(კურსის კონვერტირებული ქულა) GP
B	Very Good	5	83	3.0
B-	Very Good	4	83	3.0
C	Good	5	80	2.0
C	Good	6	72	2.0
B-	Very Good	3	82	3.0
C-	Good	2	71	2.0

ნაბიჯი მეორე: თითოეულ სასწავლო კურსში მიღებულ ქულას (GP) ვამრავლებთ ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე:

1) 3.0X5=15

2) 3.0X4=12

3) 2.0X5=10

4) 2.0X6=12

5) 3.0X3=9

6) 2.0X2=4

ნაბიჯი მესამე: ვადგენთ მიღებულ ნამრავლთა ჯამს: 15+12+10+12+9+4=62

ნაბიჯი მეოთხე: მიღებულ ნამრავლთა ჯამს ვყოფთ ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე ანუ 25-ზე: 62:25=2.5

მიღებული სიდიდე ანუ 2.5 წარმოადგენს სტუდენტის შეფასების საშუალო ქულას ანუ კუმულატიურ (დაგროვილ) GPA-ს.

6. **სემესტრული GPA** დაიანგარიშება ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით სემესტრში გასავლელ დისციპლინებში მიღებული შეფასებების საფუძველზე (რომელშიც არ შედის დამატებითი სემესტრით გათვალისწინებული ან წინა სემესტრის დავალიანების დაფარვის შედეგად მიღებული ქულები.
7. **კუმულატიური (დაგროვილი) GPA** გამოითვლება სასწავლო ბარათში (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ini.ge) მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.
8. **GPA** გაანგარიშებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი კომპონენტები:

მონაწილეობა სტუდენტურ და სამეცნიერო კონფერენციებში. ერთ კონფერენციაში მონაწილეობისთვის სტუდენტის რეიტინგს დაემატება 1 ქულა, კონფერენციაზე დასწრებისთვის - 0.5 ქულა.

მონაწილეობა სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურულ ან სპორტულ ღონისძიებებში. თითოეულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის სტუდენტს დაემატება 1 ქულა.

მონაწილეობა პროექტებში. თითოეულ პროექტში მონაწილეობისთვის სტუდენტს დაემატება 0.5 ქულა. ამ კომპონენტში გაითვალისწინება ის პროექტები, რომლებიც ხორციელდება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით ან თანამონაწილეობით და არ წარმოადგენს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებას.

მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვის სტუდენტის რეიტინგს დაემატება 0.5 ქულა.

მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა შეხვედრებში - შეხვედრებზე დასწრებისა და აქტიურობისთვის სტუდენტის რეიტინგს დაემატება-0.5 ქულა.

წახალისება. რექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადებისთვის სტუდენტის რეიტინგს დაემატება 1 ქულა.

9. საშუალო შეწონილი ქულის (GPA) დაანგარიშებისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ის შეფასებები, რომლებსაც არ აქვს ქულობრივი მაჩვენებელი.
10. GPA აისახება დიპლომის დანართში, სასწავლო ბარათში და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ini.ge .
11. 2005-2006 წლამდე (ECTS კრედიტების სისტემის დანერგვამდე) კურსდამთავრებულთათვის კრედიტები დაიანგარიშება „სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. აღნიშნული პირებისთვის (ECTS საკრედიტო სისტემის დანერგვამდე მოქმედი შეფასების 5 ქულიანი სისტემის შემთხვევაში) თითოეული სასწავლო კურსის შესაბამისობა GPA-სთან დაიანგარიშება ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის შესაბამისად:

შეფასება	**Description**	**GPA ქულობრივი მაჩვენებელი**	**GPA**
A	Excellent	5	4.0
B	Very Good	4	2.8
C	Good	3	1.9
D	Average	2	0
E	Satisfactory	1	0